



ტოტალური ფახხურთი, მადია-ისტარია და ბადკრული სპარტოველო A6



ირაკლი ჩარკვიანი - ტრიპუტ ალბომი



მკვლევარი, მხატვარი და კომიტი D1

# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

ბაზათი 24 საათი

პარასკვი, 16 ივნისი, 2006 წელი. №132 (1284)

ფასი 50 თეთრი

**24 საათი**  
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

"ოლიმპიური პარასკვი" სტარტი  
  
C2

**პოლიტიკა**  
მოხტანებოს დამოუკიდებლობა

რადიო თავისუფლებაზე გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სერბეთმა აღიარა მონტენეგროს დამოუკიდებლობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სურველიც გამოთქვა.

A3

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო საღარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილი ფისკალური პრინციპების საკონტროლო საღარო აპარატების შემდეგი მოდელები: "SLP-01F", "კასპი-02ფ" და "მერკური-180ფ" (საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაბი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენელით საფრანგეთში.

აიხილეთ	16/06	17/06
თბილისი	37	36
ტყიბულისი	32	26
სოხუმი	27	25
დვინი	30	27
გორი	32	28
ონი	27	21
ზუგდიდი	32	27
ახალციხე	36	36
ბაზრა	26	24
სამტრედიანი	34	28

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი**  
**ლარიდან მიხარტობაში**

აშშ დოლარი	1.7785
ევრო	2.2425
ბრიტანული სტერლინგი	3.2824
რუბლი	0.0658

ახაზი	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
რევიუ	A 5
პრობლემატიკა	A 6
პრობლემატიკა	A 7
სხვადასხვა	A 8

## ანტიდონორი

რუსეთი კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციას თავად აპირებს

დანიელი ავლიანი

დასავლეთის ქვეყნებმა და საერთაშორისო დონორებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის თანხების გამოყოფა დაიწყეს. ამავდროულად, რუსეთი სამხრეთ ოსეთის დაფინანსების საკუთარი გეგმების შესახებ აცხადებს. მოსკოვის კონფლიქტის მოგვარების პროცესზე მონაწილის დათმობა არ სურს.

აშშ ხელს შეუწყობს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარღვევების გამოსწორებას. ვაშინგტონში მხარს უჭერს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარღვევების იმ ვარიანტს, რომლის თანახმადაც, სამხრეთ ოსეთმა უნდა მიიღოს „მნიშვნელოვანი ავტონომია ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში“. ამის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მიესალმება „საერთაშორისო თანამშრომლობის სოლიდარობას, რომელმაც დაადასტურა

საკუთარი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი“. ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებისთვის აშშ-ს დახმარების კოორდინატორმა თომას ადამსმა, ბრიუსელში გამართულ ეუთო-ს დონორთა კონფერენციაზე გამოსვლისას, აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისთვის აშშ პირველ წელს 2 მილიონ დოლარს გამოყოფს. მომდევნო წლებში ამას მოჰყვება დამატებითი სახსრები. როგორც თომას ადამსმა აღნიშნა, აშშ-ს დახმარება მი-

მართული იქნება სამართლიანი და დემოკრატიული მმართველობის მხარდაჭერის, ასევე ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებისკენ. „აშშ-ს პოლიტიკა ნათელია: ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას, ასევე - მხარეების მცდელობას, ხანგრძლივი დროით უზრუნველყონ მშვიდობა და უსაფრთხოება კონფლიქტის რეგიონში, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოს ფარგლებში,“ - აღნიშნა თომას ადამსმა.

ბაზრქალაბა A3 ბაზრქალაბა

## ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის პარლამენტში

გუშინ საქართველოს პარლამენტში გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის შეხვედრა ევროკავშირისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე მამუკა კუდავასთან და შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან. შეხვედრაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა ჩატარდა, სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ბარამიძემ აღნიშნა, საქართველოში ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ვიზიტი ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, დელეგაციაში წარმოდგენილია საპარლამენტო ასამბლეის ორი კომიტეტი, კერძოდ კი, თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო განზომილების კომიტეტები. როგორც გიორგი ბარამიძემ განაცხადა, დელეგაციასთან საუბარი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა კონფლიქტების მშვიდობიანი დარღვევების, რუსეთის როლი ამ პროცესში, ასევე არჩევნების დემოკრატიული ჩატარება, სასამართლო რეფორმა და სხვა.

„დელეგაციის წევრები გავლენას მოახდენენ თავიანთი ქვეყნების ხელისუფლებაზე, რათა მათ მხარი დაუჭირონ საქართველოს ნატო-ში განხორციელების გზაზე. დელეგაციის ვიზიტის შედეგი იქნება ის, რომ შეინახვას ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა, სადაც, სავარაუდოდ, განხილული იქნება საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესები,“ - განაცხადა ბარამიძემ.

ბაზრქალაბა A2 ბაზრქალაბა

## „დასკოტაბის ანტიამერიკული ალიანსი“

შინხის ორგანიზაციის შორსმიმავალი გეგმები - მას შესაძლოა, ირანიც შეუერთდეს

ხათუნა ბაზივი

15 ივნისს გამართული შინხის ორგანიზაციის სამიტის ვინაობა წერს შეხვედრით დაიწყო - რუსეთის, ჩინეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სახელმწიფო მეთაურთა მონაწილეობით. გაფართოებულ სხდომაზე კი დამკვირვებელი ქვეყნების - ინდოეთის, ირანის, მონღოლეთის, პაკისტანისა და ავღანეთის პრეზიდენტებიც ესწრებოდნენ. დღის წესრიგის საკითხების განხილვამდე კი სახელმწიფო ლიდერებმა ერთობლივი ფოტოც გადაიღეს, სადაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ისლამ კარიმოვისა და ნურსულთან ნაზარბაევის გარემოცვაშია, ირანის პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, პალსტუისს გარეშეა.

ბაზრქალაბა A3 ბაზრქალაბა



## მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხაილ სააკაშვილს

თქვენო აღმატებულებაზე!

ბოლოს 2006 წლის 11 აპრილს მოგმართეთ და ფინანსური პოლიტიკის მიერ ჩემი უფლებების ხელყოფის ფაქტები ჩამოვიტყვე. თხოვრებით, თქვენი აღმატებულება პირადად დაინტერესდით ჩემი უფლებების დასაცემად და ჩემი უფლებების დასაცემად დაიწყეთ მოქმედება ჩემი უფლებების დასაცემად. ჩემი უფლებების დასაცემად დაიწყეთ მოქმედება ჩემი უფლებების დასაცემად. ჩემი უფლებების დასაცემად დაიწყეთ მოქმედება ჩემი უფლებების დასაცემად.

ოდ მიიღო დადგენილება იმ თაღლითობის გამოძიების განახლების თაობაზე, რომლის საშუალებითაც ჩემი საკუთრება ჩამოართვეს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის სასამართლოს 31 მარტის ბრძანებაში გაზგასმითაა ნათქვამი, რომ „გამოძიების განხორციელების მიზნით, რომელიც დაიწყო ჩემი საკუთრების დასაცემად, რომელიც დაიწყო ჩემი საკუთრების დასაცემად, რომელიც დაიწყო ჩემი საკუთრების დასაცემად, რომელიც დაიწყო ჩემი საკუთრების დასაცემად.“

უარს, როგორცაც ფეხი მოკიდა ქართულ ეკონომიკაში და გაერო საქართველოს ბიზნესსტრუქტურის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ აფერში, რომელსაც თქვენი აღმატებულების პრეზიდენტობის დროს ჰქონდა ადგილი. თურქული მასშტაბის მიხედვით ბ-ნი ნასრი იბრაჰიმოვი თურქეთში მილიარდზე მეტი დოლარის ოდენობის თაღლითობას და კონტრაბანდის გამო, რუსეთში - სავარაუდოდ პანკისის ხეობაში იარაღით ვაჭრობის გამო და ასევე იორდანიში. იგი არ მალავს, რომ ურთიერთობა აქვს ბატონ პეტრე ცისკარიშვილთან - ქვეყნის რწმუნებულთან კახეთში. თქვენი აღმატებულების ყურადღებას, რა თქმა უნდა, არ გამოუპარებდა, რომ ბატონ ცისკარიშვილს ლიად ადამაშაულებენ კანონსაღიარებულად ქმედებებში მონაწილეობაში.

თქვენი აღმატებულებაზე, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ვითარდებოდა ბოლოდროინდელი მოვლენები და, თუ რა არასახარბიელოდ იხსახება საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობა სტრასბურგში აძღვრულ საქმეზე, კიდევ აღმატებულების თქვენს უშუალო დაინტერესებას და ყურადღებას. როგორც ჩანს, საერთაშორისო მედია, ინვესტორები და დიპლომატები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ამ თაღლითობის მიმართ. ჯერაც მკვს იმედი, რომ შესაძლებელია ამ საკანდალის თავიდან აცილება და მისი აქ, საქართველოში მოგვარება. მოდი, ყველაფერი ვილოთოთ, რათა თავი ავირიდოთ ჩემი საქმის სტრასბურგში გადმყვებას და არ შევლახოთ საქართველოს საინვესტიციო გარემოს იმიჯი.

საპატრულო ავტომანქანების საკომუნიკაციო სისტემების პროექტის პირველი ფაზის დასრულებას შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და საქართველოში აშშ-ს ელჩმა ჯონ ტეტუტმა პრეზენტაცია მიუძღვნეს. როგორც ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის პროექტი საქართველოში საპატრულო პოლიციის საშუალებას მისცემს, თბილისის ქუჩებში გადაადგილებისას მანქანაში დასაჯდომი ავტომანქანებისა და მძღოლის შესახებ; მოხდა სამინისტროს ბაზის მოწყობის განახლება, რითაც პოლიცია სწრაფად და ზუსტად დაადგენს მოპარული მანქანის ადგილმდებარეობას და დახმარებას აღმოუჩინებს მძღოლის დასაძებნად.

როი დაფინანსდება; გაიზრდება მონაწილეობის ბაზაზე, პროექტს დაემატება სისხლის სამართლის დამხმარე და დანაშაულები ექვემდებარება მუხილ პირთა შესახებ არსებული ინფორმაცია. 2001 წლიდან დაიწყო ამერიკის შერეული მშტატების მთავრობის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას დახმარებისთვის 19 მილიონ დოლარი გამოყოფა, რა საშუალებითაც განხორციელდა დამხმარე პროექტი. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, ეს არის ყველაზე წარმატებული პროექტი. ასეთი სრულყოფილი განახლება, რითაც პოლიცია სწრაფად და ზუსტად დაადგენს მოპარული მანქანის ადგილმდებარეობას და დახმარებას აღმოუჩინებს მძღოლის დასაძებნად.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, თქვენი აღმატებულება ფლობდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დიდი მონაწილეობა „ილენის“ თქვენი ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომ უცხოელმა ინვესტორებმა საქართველოსადმი ნდობა საბოლოოდ დაკარგონ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ხელს უწყობენ ტერიტორიებს, კონტრაბანდისტებს. მეტიც, არც მათ დაფინანსებას თავიკლებენ. ამ ქმედების შედეგად კი, პირადი გამორჩენის გამო, საქართველოს მილიონობით დოლარს ვალს აკისრებენ.

19-თვიანი არასწორად წარმართული გამოძიების, სისტემატური ხელის დაფარებისა და უამრავი სასამართლო პროცესის შემდეგ, ორმა სასამართლომ საბოლოოდ დაადასტურა ჩემი საკუთრების აღსაბრუნებელი.

პატივისცემით, პუსტინ ალი.

პროექტის მეორე ეტაპი, ასევე, მილიონი ამერიკული დოლარი

პროექტის მეორე ეტაპი, ასევე, მილიონი ამერიკული დოლარი

პროექტის მეორე ეტაპი, ასევე, მილიონი ამერიკული დოლარი





# საპედაგოგიკო სასამართლო

## სასამართლო რეფორმის მიერ ტალღის „პირში“



ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე.

სასამართლო რეფორმის „მეორე ტალღა“, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო და რომელიც სისტემის საკადრო და ინსტიტუციონალური რეფორმისთან ერთად მოსამართლეებისთვის სოციალურ და მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესებასაც გულისხმობდა, მნიშვნელოვან შედეგს უკვე მიაღწია. სასამართლოების სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების ფონზე ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახალი შენობაა, რომელიც ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძალისხმევით გარემონტდა და რამდენიმე დღის წინ გაიხსნა.

„როდესაც მოქალაქე სასამართლოს შენობაში შედის, იგი მართლმსაჯულებისადმი გარკვეულ მოკრძალებას უნდა გრძნობდეს. არადა, ჩვენს მოსამართლეებს ისეთ პირობებში უხდებოდათ პროცესების ჩატარება, რომ მათდამი ყველანაირი განწყობა და პატივისცემა იკარგებოდა. ჩვენი მიზანია, ქართულ მართლმსაჯულებას ყველა მიმართულებით აღუდგინოთ ღირსება. ამიტომაც, ყველანაირად შევცადეთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო მართლაც ევროპული სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო. ამას დაულაღვი შრომის შედეგად მივაღწიეთ.“ - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ, რომელიც „24 საათის“ სტუმარია.

- ბატონო ვალერი, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე სასამართლოს შენობა გარემონტდა და გაიხსნა, თუმცა, უკვე აღიარებულია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობა მათგან განსხვავებულია - გამორჩეულია თავის ევროპული სტილით.



- გეტანხმებით, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში რამდენიმე სასამართლოს შენობა გარემონტდა, მაგრამ ვინც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ნახავს, დამერწმუნება, რომ ის კორპუსი, რომელიც აქამდე გაკეთდა და ჩვენ მიერ გაკეთებული კორპუსი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, როგორც ვიზუალურად, ასევე ხარისხობრივად. საქართველოში ახლად აშენებულ სახელმწიფო დაწესებულებებში ხარისხზე არაფერია ურუნველად, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ეს სტრუქტურა დაგვეგრძობა და სასამართლოს კეთებას შევედგეთ ისეთივე მონდობებით, როგორც საკუთრი სახლის კეთებისას. მინდა ვთხრათ, რომ მშენებლობის პროცესში საკმაოდ გამოცდილება მივიღე არქიტექტურასა და ინჟინერებს. ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ კვირას მინევდა მშენებლობის მონახულება და თითოეული დეტალისა და შტრიხის შემოწმება. მშენებლობაზე ხშირად მოდიოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც. მშენებლობაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელებმა. შესაბამისად, ამ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მივიღეთ სააპელაციო სასამართლოს ახალი შენობა. გადაჭრებულად არ ვიქნებით თუ ვიტყვი, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო სადაგალითო ამიერკავკასიაში და არა მარტო ამიერკავკასიაში და იგი საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის მართლაც სამაგალიტოა. ჩემთვის პირადად ძალიან შთაბეჭდილი იყო საქართველოს პრეზიდენტის პირველი რეაქცია, როდესაც მან აღნიშნა, რომ ასეთი სასამართლოები ამერიკაშიაო. ყოველივე ეს დიდი სტიმულია და სულ მალე სასამართლო სისტემის მოგიზადებთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სიბრძნის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ძალიან დიდი დატვირთვა გააჩნია, რადგან იგი უზენაესი სასამართლოს შემდეგ, ფაქტობრივად, მეორეა. ამიტომაც, მივანიჭეთ მას განსაკუთრებული პრიორიტეტი. ამასთან, გარკვეული თანხვედრაც იყო, რადგან ამ შენობის რემონტი რამდენიმე წლის



წინა დღეებში. „ვარდების რევოლუციამდე“ ნახევარი საკმე, ფაქტობრივად, გაკეთებული იყო, რაზეც მსოფლიო ბანკის 3-მილიონიანი პროექტიდან მილიონ ნახევარი ლარია დახარჯული. ჩვენ მიერ განხორციელებული სამუშაოები კი მილიონ 600 ათასი ლარი დაიხარჯა, აქედან 100 ათასი ჩვენი ბიუჯეტიდან და შედეგი რამდენიმეჯერ აღემატება იმას რაც რევოლუციამდე გაკეთდა..

სააპელაციო სასამართლო გამოირჩევა, როგორც გარეთა და შიგნით, ასევე ინტერიერით. სასამართლოში ყველანაირი პირობა არის შექმნილი, როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისთვის და, რაც მთავარია, ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის.

სასამართლო უახლესი ტექნიკითა აღჭურვილი. საუბარია, კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე, რათა დროულად მოხდეს ინფორმაციის მიღება. სახელე იქნება ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს ყველა დარბაზში დიდგმება მიკროფონები. ამას ორი დანიშნულება აქვს - ერთი ის, რომ მიკროფონით პროცესის მართვა გაცილებით უფექტურია და მეორე, გაკეთდება სხდომების ელექტრონული ჩანაწერები. ამით საბოლოოდ ავიცილებთ პრეტენზიებს ოქმების გაყალბების თაობაზე. დამატებითი დახვეწა იქნება ასევე, ყველა სასამართლო დარბაზში დამონტაჟებული ვიდეოკამერები, რაც უახლესი პერიოდში იგეგმება.

- გარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გახსნისა, მიმდინარე რეფორმაში ქართული მართლმსაჯულება მნიშვნელოვან შეცვალა.

- ქვეყანაში სასამართლო რეფორმის მეორე ახალი ტალღა დაიწყო. იგი ეტაპობრივად მიმდინარეობს და, ბუნებრივია, სასამართლო რეფორმა ერთ ნეონადმი ვერ განხორციელდება. ჩვენ ამჯერად ვიმყოფებით საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების კადრების გადამალისთვის პერიოდში. სასამართლო სისტემა არაკეთილსინდისიერი და არაპროფესიონალი კადრებისგან გაუმჯობესდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია. სამაგიეროდ, სისტემაში ახალი პერსპექტიული და კვალიფიციული კადრების მოზიდვა დაიწყო. ჩავატარებ



რეთ ახლი საკვალიფიკაციო გამოცდები. მართალია, მოსამართლეობის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ, ვინაიდან, გამოცდა საკმაოდ მაკარად ჩატარდა, შედეგი არცთუ სახარბიულოა. სულ ამ გამოცდების შემდეგ 70 ახალი მოსამართლე დაინიშნა.

უკვე შევქმელით მოსამართლეების ხელფასების გაზრდა, მინიმალური ხელფასი დღეს 1450 ლარია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს აპარატის თანამშრომლებიც კონკურსის წესით შეირჩნენ. ასევე კონკურსის წესით შევქმენით სასამართლო მანდატურის სამსახური, რაც ახალი სასამართლოს სახეა და ამ სამსახურმა სასამართლოში წესრიგს დაცივის მიმართულებით დიდი შედეგი უკვე გამოიღო. იგეგმება საერთო სასამართლოების სრული კომპიუტერიზაცია და მათი ერთ ქსელში ჩართვა. ჩვენი სურვილია რეფორმის სასამართლოს შექმნა.

- რადგანაც ცნობილია, დღევანდელ სასამართლოში ბევრი ვაკანსიაა, რის გამოც საქმეების განხილვაჭირდება. ეს კი მოქალაქეებში უკმაყოფილების მიზეზიც ხდება.

- ეს ჩვენთვისაც დიდი პრობლემაა. სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩავატარეთ და ერთ-ერთ პრობლემად სწორედ პროცესების გაჭიანურება დასახელდა. სხვა პრობლემა, რომელიც აქამდე არსებობდა - ის რომ მოქალაქეს ადამიანად არ თვლიდნენ და პასუხს არ უბრუნებდნენ, დღეს უკვე აღარ არსებობს. ამ პრობლემის დაძლევა მოსამართლეთა სამსახურით უნდა მოხდეს. სასამართლო სისტემის განვითარება შესაძლებელია, მაგრამ შტატების ქალაქებზე გაზრდა შედეგს არ მოგვცემს, თუ ფიზიკურად არ იქნება სათანადო რაოდენობის კადრი. ბოლო პერიოდში 70 ერთეული გავზარდეთ მოსამართლეთა სამსახურით ერთეული, მაგრამ 420 სამსახურით ერთეულიდან შევსებულია მხოლოდ 250. ვაკანსიები საკმარისზე მეტია, მაგრამ მოთხოვნებიც დიდი გვაქვს - მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მაღალი კვალიფიკაცია და სარგებლობდეს კარგი რეპუტაციით. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ დღეს, მოქალაქეებს მოსამართლის ობიექტურებაში ეჭვი აღარ ეპარებათ.

- ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მოსამართლეებზე უზენაესი ხდება და მათ დამოუკიდებელი განწყვეტილება ვერ გამოაქვთ. ამის მიზეზად ხშირად თქვენც გასახელებენ.

- რატომაც მე პროკურატურის კადრად მომიხარებენ, რადგან ოუსტიციის უმაღლესი საბჭომ სწორედ პროკურატურად გადმოვიღე. მაგრამ პროკურატურაში მხოლოდ რამდენ

იმე თვე ვიმუშავე, ისევე, როგორც უშიშროების სამინისტროში. პირადად მე, ოუსტიციის სამინისტროს კადრად მიმანია თავი. კარიერა სწორედ ოუსტიციის სამინისტროში, სტაჟირობიდან დაიწყო და ბოლოს დეპარტამენტის თავმჯდომარე ვიყავი, სადაც ოთხი წელი გავატარე. თუმცა, ცოტა არ იყოს ღიმილის მომგვრელია ის არგუმენტი, რომ არ შეიძლება პროკურატურიდან გადმოსული კადრი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გარანტი იყოს. როდესაც სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბრობენ, მინდა ვთქვა, რომ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს“. შეიძლება ცალკეულ მოსამართლეებთან დაკავშირებით არის გარკვეული პრობლემები, მაგრამ თუ ისინი უზენაესი კვლევის მოქმედებენ, ეს მათი პრობლემაა. პრინციპული და კვალიფიკაციის მოსამართლე არავის გავლენის ქვეშ არ მოექცევა. ცალკეული მოსამართლის ქმედებით არ შეიძლება მთელი სისტემის დამოუკიდებლობა კითხვის წინშე მოხდეს.

თუ ვინმე უზენაესი განიცდის უნდა მოგვემართოს, რაც ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა. არადა, ყველა მოსამართლემ იცის, რომ ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის კარიერული ღირებულება უნდა უზენაესი პრობლემის შემთხვევაში შეუძლიათ მომართონ. მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა მოსამართლეს დავუხმაროთ. კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ ოუსტიციის საბჭო ნებისმიერ შემთხვევაში იქნება მოსამართლის უფლებების დაცვის გარანტი. სხვათა შორის, ზოგიერთ ქვეყანაში არის ასეთი პრაქტიკა და ჩვენც ვფიქრობთ დავინერგოთ - ოუსტიციის საბჭოს მიერ ერთგვარად მოსამართლეთა უფლებების დაცვის, ომბუდსმენის ფუნქცია. ანუ, თუ გარკვეული დარღვევა იქნება, ოუსტიციის საბჭოს შეეძლება გამოითხოვოს მასალები სხვადასხვა უწყებიდან და მოახდინოს მათი შეფასება.

- მომავალში რა სახის უნდა ველოდით ქართულ მართლმსაჯულებას?

- დიდი და მორსმიმაგალი გეგმები გვაქვს. ჩვენი სურვილია, რომ მიმდინარე წელს ყველა რაიონულ სასამართლოში, ასეთი 18 სასამართლოა, გაკეთდეს რემონტი. ყველაზე შთაბეჭდილი კი თბილისის საქალაქო სასამართლო იქნება, რომელიც ამ წლის ბოლოსთვის გაიხსნება. გამოცდილება გვაქვს



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი.

ბა არც განიხილოს საქმე და ძალაში დატოვოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუკი ჩათვლის, რომ არანაირი დარღვევა არ არის. აქამდე, საქმე თუ შევიდოდა უზენაეს სასამართლოში, ის აუცილებლად უნდა განხილულიყო. პირველი ინსტანციის საქმეების კოლეჯი უზენაეს სასამართლოში აღარ არსებობს. ცვლილებების შედეგია ისიც, რომ საოლქო სასამართლოების ნაცვლა, შეიქმნა ორი სააპელაციო სასამართლო თბილისსა და ქუთაისში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მთელ დასავლეთ საქართველოსა და აჭარაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია კი - მთელს აღმოსავლეთ საქართველოზე.

როგორც უზენაეს სასამართლოში, საოლქოშიც გაუქმდა პირველი ინსტანციის საქმის განხილველი კოლეჯები და საოლქო სასამართლოები იქცა წმინდა სააპელაციო წესით საქმის განხილველ სასამართლოებად. ის ფაქტი, რომ მიუღეს საქართველოში მხოლოდ ორი სააპელაციო სასამართლო იქნება, ჩემი აზრით, ძალიან ოპტიმალურია. ჩვენ განსაზღვრული გვაქვს სამსახურით რაოდენობაც. მაშინ, როცა სააპელაციო სასამართლოს თავისი კრიტერიუმები აქვს, უზენაესი კი - თავისი, ეს ახალი სისტემა საქმეების განხილვისას გაჭიანურების პრობლემას მოხსნის.

თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან აქ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს საბოლოო. ამდენად, სააპელაციო სასამართლოების გამართული ფუნქციონირება ძალიან საჭიროა. თბილისის სააპელაციო სასამართლო ყველაზე დიდია. იგი იხილავს საქმეების 72 პროცენტს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო კი 28 პროცენტს. ამიტომ, გვინდა მოსამართლეების რაოდენობა ისე გადავანაწილო, რომ მათი დატვირთვის პრობლემა საბოლოოდ მოიხსნას.



რაც კანონში წერია, მაგრამ ჯერ არ განხორციელებულა, ეს არის პირველი ინსტანციის სასამართლოების (რაიონული, საქალაქო სასამართლოები) შექმნა. საქართველოში არსებული 65 რაიონული და საქალაქო სასამართლოს ნაცვლად, უნდა შეიქმნას 18 საქალაქო სასამართლო, მათ შორის არის ერთი დიდი, თბილისის საქალაქო სასამართლო, დანარჩენი კი იქნება რეგიონული. ესე იგი, ხდება რაიონული სასამართლოების გაერთიანება. იმ რაიონში კი, სადაც აღარ იქნება სასამართლო, იქნება მაგისტრანტი მოსამართლე. ეს მოსამართლეები მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეებს განიხილვენ. საბოლოო ჯამში, გამოდის რომ მთელი ქართული სასამართლო სისტემა იქნება მარტივი. ახალი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპი არის ხელმისაწვდომობა.

დღევანდელი სასამართლო სისტემა მნიშვნელოვან ცვლილებებს გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის, რომლის გამსხვილებაც სავარაუდოდ მომავალ წელს დასრულდება. როგორც მოგვხსენებთ, უზენაეს სასამართლოში ადრე საქმეებს სპეციალიზაციის მიხედვით განიხილავდნენ, რაიონებში კი ყველა კატეგორიის საქმეს ერთი და იგივე მოსამართლე იხილავდა. ახალი კანონმდებლობით, აქაც სპეციალიზაცია იგეგმება. მეტიც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო პალატაში ვამბობთ ასევე გავაკეთეთ შიდა სპეციალიზაცია, ანუ ზოგი მოსამართლე განიხილავს მხოლოდ საოჯახო დავებს, ზოგი საქონლის და ა.შ. ეს გადაფილტვინი საქმეების განხილვის დაქარაუბრება და ამასთან, ხარისხიც უფექტური იქნება.

პროცესის გამარტივების მიზნით, მომავალშიც ვამბობთ გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებს. კვალიფიკაციის მოსამართლეს, თუ დღეს ერთი საქმის განხილვისთვის მინიმუმ ორი თვე სჭირდება, მალე იგივე კატეგორიის საქმეს ერთ თვეში დაასრულებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქმეების განხილვის გაჭიანურების მტკიცებულება ამითაც მოგვარდება. ერთი სიტყვით, ქართულ მართლმსაჯულებაში ძალიან ბევრი ახალი ნოვაცია შევიტანეთ და მას მოსახლეობა მალე იგრძნობს.





# თავისუფლება

„თავისუფლების იესორცხვის“ საპაპარო ჩანაწერი

საბიუჯეტო პროცესი საჯარო უნდა იყოს, რაც გულისხმობს დამტიცივ-ბული ბიუჯეტის, მისი შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საჯაროობას.

ბიუჯეტი არის ფინანსური გეგმა, მიმართული დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტული მიზნების მისაღწევად. კარგად მომზადებული ბიუჯეტი უნივერსიტეტის იმიჯზეც მოქმედებს. უნივერსიტეტს, რომელიც ფინანსურად გონივრულად იმართება, საჯარაულად უკეთესი იმიჯი ექნება, ვიდრე უნივერსიტეტს, რომელსაც საბიუჯეტო პრობლემები აქვს. კონკურენციის პირობებში (რესურსების, სტუდენტების, თანამშრომელთა ან დაფინანსების მოზიდვის კუთხით), უნივერსიტეტისთვის, რომელსაც დადებითი იმიჯი აქვს, მეტია ალბათობა, წარმატებული იყოს.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი შესაბამისობაში უნდა იყოს მის გრძელვადიან განვითარების გეგმასთან – ბიუჯეტი არ შეიძლება მომზადდეს უნივერსიტეტის სტატეგიისაგან მოწყვეტილად და მიმართული იყოს მხოლოდ მოკლევადიანი მიზნების შესრულებისკენ. იგი უნდა აღიქმებოდეს გრძელვადიანი პროცესის ნაწილად, ყოველწლიურ საფეხურებად, რომელიც დროთა განმავლობაში უნივერსიტეტს მისი სტრატეგიული გეგმის განხორციელებამდე მიყვანს.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფაქულტეტებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტს და ამტკიცებს მას ან შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ ეთანხმება წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლება აქვს, ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი აკადემიურ საბჭოს წინადადებებითა და დასაბუთებული შენიშვნებით დასამტკიცებლად დაუბრუნოს წარმომადგენლობით საბჭოს. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბიუჯეტის განმეორებით დაუმტკიცებლობა იწვევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტას და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება ახალარჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

ფაკულტეტის დონეზე ფაკულტეტის საბჭო შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს.

ბიუჯეტირების პროცესში, იდეალურ შემთხვევაში, ჩართულია საგანმანათლებლო დაწესებულების მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა; დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები; ის დონორები, რომლებიც უნივერსიტეტისთვის გარკვეულ ფინანსურ სახსრებს გამოყოფენ; სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირი. საზოგადოდ, ბიუჯეტირებაში ამ ფართო აუდიტორიის მონაწილეობა შესაძლებელია განხორციელდეს საჯარო შეკრებებით, რომლებზეც დაინტერესებული ადამიანები თუ ორგანიზაციები გამოდიან კონკრეტული დასაბუთებული წინადადებებით იმ ახალი პრიორიტეტებისა თუ გადასაჭრელი პრობლემების შესახებ, რომლებიც უნივერსიტეტმა საკუთარი გეგმის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს.

„მონაწილეობითი ბიუჯეტირება“ გულისხმობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის თვალ პროცესში იმ მხარეების ჩართვას, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული ბიუჯეტიდან დაფინანსებული მომსახურების ხარისხითა და ამ მომსახურებაზე განუღებლად დანახარჯების მიზნობრიობით. „მონაწილეობითი ბიუჯეტირების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია გამჭვირვალობა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის სახსრების განკარგვის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. ამგვარად, განათლების სამინისტროს თუ საზოგადოების წარმომადგენელს, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიმუშავებულ ბიუჯეტზე და შექმლს თავისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების განკარგავასთან დაკავშირებით.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი გამჭვირვალე, ღია და ყველასათვის გასაგები იმითმ ხდება, რომ ბიუჯეტის შემუშავების, ხარჯვისა და შედეგების ანალიზის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ არა მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში, არამედ საზოგადოების წევრებისაგან – სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებულ ადამიანებისაგან შედგენილი საბჭოების შეკრებებზეც.

დღეს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მთავარი მიზანია ამ სისტემის თითოეული რგოლის მუშაობის ეფექტიანობის მაქსიმუმამდე გაზრდა. ამ მიზნის მიღწევის უმოკლესი გზა კი გადაწყვეტილებების მიღებაში თვით განათლების სისტემის მომსახურების მომხმარებელთა აქტიურ მონაწილეობაზე გადის. მართვის ამგვარი სისტემა მოითხოვს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებმა დამოუკიდებლად განკარგონ მათთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები.

გადაწყვეტილების მიღების უფლებათა განაწილება იმითმ არის მნიშვნელოვანი, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალება ეძლევა, გაცილებით სწრაფად მოახდინოს რეაგირება იმ ცვლილებებზე, რომლებიც გარემოში ხდება. ბუნებრივია, რომ ამგვარ ცვლილებებზე რეაგირება ცენტრალიზებული მართვის პირობებში მეტ დროს მოითხოვდა.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის, მათ შორის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის, შესახებ.

სტატიაში მიმოვიხილავთ ბიუჯეტის შედგენის პროცესს, ამ პროცესში მონაწილე და პასუხისმგებელ პირებს, მათ როლს, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრინციპს, საბიუჯეტო მოსმენებსა და საჯარო განხილვებს, ბიუჯეტის მონიტორინგის პროცესს.

## იმე და როგორ მონაწილეობს მოსმენების პროცესში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

# ბიუჯეტის შედგენის პროცესი

## სახელმწიფო უნივერსიტეტებში

საუნივერსიტეტო ფონდების მართვის პროცესში და თანხების ოპტიმალურ ხარჯვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის ბიუჯეტის სწორ დაგეგმვას, შედგენას და მის მონიტორინგს, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ პირებზე, რომლებიც ჩართული არიან ამ პროცესში და იღებენ საბიუჯეტო გადაწყვეტილებას. საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღება ნიშნავს შემოსავლების წყაროებისა და მისი განაწილების განსაზღვრას. შეზღუდული რესურსების პირობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გონივრული არჩევანის გაკეთება. ყოველი საბიუჯეტო გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს განსაზღვრული პოლიტიკის გატარებას, რაღბან ფინანსური სახსრები უპირატესად შეიძლება წარმოებოდეს სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, უნდა მოხდეს თანხების გონივრული განაწილება იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესს.

შესაბამისად ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მართვის ორგანოებია – ფაკულტეტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები: რექტორის აპარატი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოები.

თითოეული ერთეულის საქმიანობის წესი განისაზღვრება დაწესებულების წესდებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ამ დაწესებულების ან ფაკულტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულები და მათი საქმიანობის წესიც.

ფინანსური მართვის სფეროში უნივერსიტეტის თანამშრომელთა შორის ფუნქციებისა და მოვალეობების ნათელი განაწილება გადამწყვეტ როლს თამაშობს დასახული მისიისა და მიზნების მიღწევაში.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესები ზოგადად ასახავს უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებსა და პირებს შორის ფინანსური მართვის საკითხებში ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილებას; თუმცა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია ზემოთ აღნიშნული აქტების შესაბამისად დამატებითი შიდასაუნივერსიტეტო პროცედურები შეიმუშაოს. ამ პროცედურების ჩამოყალიბებისას მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ფინანსური მართვა წარმატებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, როცა მასში პროფესიონალები მონაწილეობენ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას და მათი ადმინისტრირებისას წარმომადგენლობით საბჭოს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სხვა თანამშრომლების, სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ფუნქციები და მოვალეობები კონკრეტულად იყოს ჩამოყალიბებული, განვირლი და ყველა დაინტერესებული პირისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი.

წარმომადგენლობით საბჭოსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდეგი ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები აქვთ:

### წარმომადგენლობითი საბჭოს როლი

- ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს.
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს.

წარმომადგენლობითი საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

ფინანსური მართვის კუთხით წარმომადგენლობითი საბჭოს ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების განხორციელება ფინანსურად გამართლებული, ეფექტური და ეკონომიური გზის გამოყენებით. ამ მიზნით იგი:

- შეიმუშავებს უნივერსიტეტის განვითარების გეგმას, რომელშიც ასახულია უნივერსიტეტის მისია, მიზნები, პრიორიტეტები, და გრძელვადიანი (მინიმუმ სამწლიანი) ფინანსური გეგმა.
- მონაწილეობს საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებაში, რაც გულისხმობს ყოველწლიური საბიუჯეტო პროცესის ადმინისტრირების, საბიუჯეტო კალენდრის, ანგარიშვალდებული პირებისა და ვადების განსაზღვრას.
- რეგულარულად განიხილავს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში შესწორებები შეაქვს უნივერსიტეტის ბიუჯეტში. ასევე რეკომენდებულია, რომ ფინანსური ანგარიშების განხილვის დროს უნივერსიტეტის მონაცემები შედარებული იყოს გარე მაჩვენებლებთან და პროგნოზირებამ ნიშნულებთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

- უზრუნველყოს წლიური საბიუჯეტო პროცესის ეფექტური ორგანიზაცია;
- განსაზღვროს საბიუჯეტო პოლიტიკა;
- განიხილოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტი;
- გააკონტროლოს ბიუჯეტის შემუშავებისა და მისი შესრულების პროცესი;
- განიხილოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი კვარტალური ფინანსური ანგარიში და უფლებამოსილების ფარგლებში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

### უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის როლი

ამზადებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე, რომელიც მას სხვადასხვა ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას აკისრებს.

ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

- მონაწილეობს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს;
- მონაწილეობს საბიუჯეტო პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრაში;
- წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად ახორციელებს უნივერსიტეტის ფინანსურ მართვას;
- უზრუნველყოფს საბიუჯეტო ვადების შესრულებას;
- ადგენს წლიური ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შეუძლია ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული გარკვეული ფუნქციების დელეგირება მოახდინოს მასზე დაქვემდებარებულ პირებზე. თუმცა იგი ყოველთვის ვალდებულია, უზრუნველყოს ბიუჯეტის სიზუსტე, მისი შესაბამისობა საბჭოს მიერ განსაზღვრულ პოლიტიკასთან და საბჭოსათვის ბიუჯეტის დროულად წარდგენა. მას შემდეგ, რაც ბიუჯეტი დამტკიცდება, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალდებულია:

- გააცნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს დამტკიცებული ბიუჯეტი;
- განახორციელოს რეგულარული ფინანსური კონტროლი, შეადაროს შემოსავლები და ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებულ მონაცემებს და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოამზადოს კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიში და წარუდგინოს იგი წარმომადგენლობით საბჭოს;
- გაანალიზოს და გამოიყენოს რესურსები დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.

*ფაკულტეტის საბჭოს როლი*

ფაკულტეტის საბჭოს მონაწილეობა წლიური ბიუჯეტის ან გრძელვადიანი ფინანსური გეგმის შემუშავებაში ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან მას ყველაზე უკეთ შეუძლია მოგვანოდოს ინფორმაცია პროგრამის მოთხოვნილებებისა და ხარჯების შესახებ, ასევე ინფორმაცია, თუ რა ასახავს პოვნებს დაფინანსების მომატება ან კლება კონკრეტული ფაკულტეტის მიხედვით. გარდა ამისა, ფაკულტეტების საბჭოები მონაწილეობენ ახალი პროგრამების ბიუჯეტის განსაზღვრაში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ასევე შეუძლია კონკრეტული ფაკულტეტის ბიუჯეტის მომზადება მთლიანად ფაკულტეტის ხელმძღვანელს დაევალოს. ამასთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია მოისმინოს და გაითვალისწინოს ფაკულტეტის დეკანის მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები.

თავის მხრივ ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – ფაკულტეტის – საბჭო უფლებამოსილია, განსაზღვროს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს ფაკულტეტის ბიუჯეტი. ბიუჯეტის განხილვაში და საბიუჯეტო მოსმენებში მონაწილეობს აკადემიური საბჭო.

*სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა*

*და სხვა დაინტერესებული პირების როლი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში*

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის, შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და შესაბამის განყოფილებებთან ერთად ჩართული უნდა იყვნენ ფაკულტეტები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. ბიუჯეტირების პროცესში მონაწილე დაინტერესებული პირები გარკვეულწილად უნდა იცნობდნენ:

- იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიუჯეტირებისა და მონიტორინგის პროცესთან, უნივერსიტეტის სხვადასხვა ტიპის საქმიანობებთან კავშირში;
- რა ფინანსური და სტრატეგიული გეგმა აქვს უნივერსიტეტს და რა გავლენას ახდენს ცალკეული დეპარტამენტებისა თუ მთლიანად უნივერსიტეტის განვითარებაზე;
- რამდენად ეფექტურად იხარჯება უნივერსიტეტის ფონდები;
- როგორ გამოვიყენოთ უნივერსიტეტის ფინანსური სისტემის ანგარიშგება ფონდების ხარჯვის მონიტორინგისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის შედგენის ხარჯვისა და მონიტორინგის პროცესში მონაწილე დაინტერესებული პირები ფლობდნენ გარკვეულ უნარ-ჩვევებისა და ცოდნას.

*ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები*

დღეისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სამი ტიპის დაფინანსება: 1. საბიუჯეტო დაფინანსება; 2. სახელმწიფო სასწავლო გრანტი (ვაუნჩრული დაფინანსება); 3. კომერციული შემოსავლები (მათ შორის შემოსავლები ფასიანი სწავლებიდან).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბიუჯეტო დაფინანსება ორიენტირებულია სწავლებასა და სამეცნიერო კვლევაზე, ამ დაწესებულებისათვის კადრების მომზადებაზე, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებია:

- სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;
- კერძო გრანტის ან შემონირულობის სახით მიღებული შემოსავლები;
- საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფოსათვის პროორიტეტულ ერთეულებზე აბიტურიენტთა მიღების ნახალისების მიზნით გამოყოფილი სპეციალური სახელმწიფო-საბიუჯეტო პროგრამები;
- დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული, შემოსავალები.

## ზეონსავეის პროგნოზირაა

როგორც წესი, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირება პირველ საბიუჯეტო შეხვედრაზე ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ამ შეხვედრაზე შემოსავლების პროგნოზირებას ზოგადი ხასიათი აქვს და მიმართულია იმის გასარკვევად, აქვს თუ არა უნივერსიტეტს საშუალება, განახორციელოს სხვადასხვა მიზნები და პროექტები. ამ ეტაპზე კი საბიუჯეტო შემოსავლებზე ზოგადი, დაახლოებითი წარმოდგენის ქონა საკმარისი არაა. ამდენად, უნივერსიტეტმა მომავალი წლის შემოსავლების მაქსიმალურად სწორი დაანგარიშება უნდა მოახდინოს.

შემოსავლების ზუსტი პროგნოზირების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ გაურკვეველია, ნამდვილად მიიღებს თუ არა უნივერსიტეტი პროგნოზირებულ თანხებს. ამდენად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადასანყვეტია, შეიტანოს თუ არა საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილში ისეთი თანხები, რომლთა მიღების ვანსი არსებობს, თუმცა არ არსებობს რეალური გარანტიები. ასეთი გაურკვეველი შემოსავალი შეიძლება იყოს გრანტები, რომელზედაც მომზადდა პროექტები, ან მომავალში განსაზღვრული შემონირულობები, შემოსავალი უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობიდან, მაგალითად, ფართის გაქირავების შედეგად ან თანხების მოზიდვის მიზნით გამართული ღონისძიებებიდან მისაღები თანხები და სხვა. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უნდა შეაფასოს ამგვარი შემოსავლის მიღების რეალურობა და თუ არსებობს ამ თანხების მიღების მაღალი წინაპირობა, მაშინ იგი ასახული უნდა იყოს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში.

## სარკავის პროგნოზირაა

უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ხელფასების მომსახურებას უჭირავს, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელფასო ხარჯების ზუსტი პროგნოზირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში მოულოდნელი ფინანსური პრობლემები.

სახელფასო დანახარჯების აღრიცხვის საუკეთესო საშუალებაა ყველა დაკავებული და ასევე ვაკანტური თანამდებობის სიის შედგენა. აღნიშნულ სიაში მითითებული უნდა იყოს საათობრივი ანაზღაურება, სამუშაო საათები და ხელფასი.

სახელფასო ხარჯების გარდა ასევე მნიშვნელოვანია საოპერაციო ხარჯები. როგორც წესი, წლიდან წლამდე საოპერაციო ხარჯები სხვადა-სხვაგვარია, რადგან ა) იცვლება ფასები საქონელსა და მომსახურებაზე, ბ) იცვლება უნივერსიტეტის მოხმარების დონე. ფასების ცვლილების დაანგარიშების საუკეთესო მეთოდია კონკრეტული საქონლის მწარმოებელთან ან მომსახურების მიმწოდებელთან დაკავშირება და მოსალოდნელი ფასის ცვლილების შესახებ მათი გამოკითხვა. უნივერსიტეტმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით თავად უნდა დაიანგარიშოს ფასის მოსალოდნელი ცვლილება და გაითვალისწინოს იგი ბიუჯეტის პროექტში. გარკვეული ტიპის საქონელზე მოხმარების ზრდასად დაკავშირებით კი საჭიროა დადგინდეს ამ კონკრეტულ პროდუქციაზე მოხმარების ზრდის მიზეზები. გარდა ამისა, შესაძლებელია გაიზარდოს მოთხოვნილება ახალი ტიპის პროდუქციაზე, მაგალითად, იმიტომ, რომ უნივერსიტეტი აპირებს ახალი ფაკულტეტის გახსნას ან მნიშვნელოვნად შეიცვალა სტუდენტთა რაოდენობა...და სხვა.

## ბიუჯაის უაზუსტის არსანი

უნივერსიტეტებში ბიუჯეტის შემუშავების პროცესი რამდენიმე ძირითად საფეხურადაა დაყოფილი, ეს საფეხურებია:

- პრიორიტეტების, საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო კალენდრის განსაზღვრა;
- ბიუჯეტის პროექტის მომზადება;
- წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბიუჯეტის პროექტის განხილვა;
- საჯარო საბიუჯეტო მოსმენა;
- წარმომადგენლობითი საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ პროექტის საბოლოო განხილვა;
- ბიუჯეტის საბოლოო განხილვა და დამტკიცება.

ბიუჯეტის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია მისი სწორად დაგეგმვა. ამ მიზნით ყოველი სასწავლო წლის დასრულებამდე 3-4 თვით ადრე უნივერსიტეტმა, სასურველია, მოაწყოს პირველი საბიუჯეტო შეხვედრა.

*საბიუჯეტო კალენდრის შემუშავება*

ბიუჯეტის შემუშავების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და ფორმულირების წესს, კერძოდ კი განსაზღვრავს: ა) კონკრეტულ ნაბიჯებს, მათ განხორციელებაზე ანგარიშვალდებულ პირებსა და ვადებს; ბ) წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარსადგენი ბიუჯეტის ფორმას; გ) ბიუჯეტის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

რადგან ბიუჯეტი გარკვეულ ვადაში უნდა დამტკიცდეს, საჭიროა, შემუშავდეს საბიუჯეტო კალენდარი, რომელიც განსაზღვრავს:

- კონკრეტულ ამოცანებს;
- თითოეული ამოცანის შესრულების ვადებს;
- ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს.

საბიუჯეტო კალენდრის რევიზია ყოველწლიურად უნდა ხორციელდებოდეს და წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით საჭიროებისამებრ იცვლებოდეს.

საბიუჯეტო კალენდრის შემუშავებისათვის საჭიროა:

- დაინეროს მთავარი ამოცანების ნუსხა. ამასთან აუცილებელია, გადამოწმდეს კონკრეტული საქონლის ფასები და ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის მიღების რეალურობა. უნივერსიტეტის თანამშრომლებს უნდა ეცნობოთ საბიუჯეტო პროცედურების შესახებ. ხოლო კონსულტაციების საფუძველზე უნდა შემუშავდეს თავად ბიუჯეტის პროექტი და უნდა დამტკიცდეს კიდევ.
- დადგინდეს თითოეული ამოცანის შესრულების ვადები. ზოგიერთი ამოცანის შესრულების ვადებს კანონი და ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ნესები აწესებს. თუმცა იქ, სადაც ეს ვადები არ არის კონკრეტულად დადგენილი ან ბუნდოვანია (მაგალითად, ბიუჯეტის პროექტი წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება არა უგვიანეს 30 მარტისა), რეკომენდებულია რომ იგი შეიცვალოს კონკრეტული თარიღითა და ვადებით.
- დადგინდეს თითოეული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ასახავს ძირითად სფეროებზე პასუხისმგებელ პირთა წრეს (ასე მაგალითად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციაა, შეიმუშაოს ბიუჯეტის პროექტი, წარმომადგენლობითი საბჭო ზედამხედველობს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და ა.შ.), მნიშვნელოვანია განისაზღვროს ასევე შედარებით უმნიშვნელო ამოცანების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მაგალითად, ვინ გადაამოწმებს იმ საქონლის ფასებს, რომლის შექენასაც აპირებს უნივერსიტეტი.

